ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომა N-02

11 მარტი 2025წ.

დ. ლენტეხი.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა

და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა

დ. ლენტეხი 11. 03. 2025 წ.

დასწრების ფურცელი

1. კომისიის თავმჯდომარე : /ს. ავალიანი/
2. კომისიის წევრი : /მ. ლიპარტელიანი/
3. კომისიის წევრი: /ზ. ონიანი/
4. კომისიის წევრი : /გ.შავრეშიანი/
5. კომისიის წევრი : /რ. მუკბანიანი/
6. კომისიის წევრი : /ი. გაზდელიანი/
7. მოწვეული სპეციალისტი : / ა. ლიპარტელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე : /ს. ავალიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომა N 02

დ.ლენტეხი 11. 03. 2025 წ.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. სოფ. ლესემაში მცხოვრები დეოლა გაზდელიანის განცხადება.

/მომხს : მ. ლიპარტელიანი/

2. „ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 - თებერვლის N – 03 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს: მ. ლიპარტელიანი/

3. სხვადასხვა.

ლენეტხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით -

ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: /ს. ავალიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 02

დ.ლენტეხი 11/ მარტი/2025 წ.

2025 წლის 11 მარტს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი,კომისიის წევრები: გიორგი გაზდელიანი,დავით პირველი,მევლუდ ლიპარტელიანი,ირაკლი ქურასბედიანი,ზურაბ ონიანი,მოწვეული სპეციალისტი ამირან ლიპარტელიანი და კომისიის მდივანი თეა ქურდიანი.

კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა კომისიის წევრებს გააცნო

დღის წესრიგი:

1. **სოფ.ლესემაში მცხოვრები დეოლა გაზდელიანის განცხადება.**

/მომზს: მ. ლიპარტელიანი/

2. **„ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20-თებერვლის N-03 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

/მომზს: მ. ლიპარტელიანი/

მოისმინეს: კომისიის წევრმა მევლუდ ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ კომისიას შესასწავლად დაეწერა ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ლესემაში მცხოვრები დეოლა გაზდელიანის განცხადება.განცხადების თანახმად მოქალაქე ითხოვს დახმარებას. კერძოდ; მისი საცხოვრებელი სახლი დგას სახელმწიფო მნიშვნელობის გზის ნაპირზე, სადაც მძიმე ტექნიკის გადაადგილების დროს ადგილი აქვს ნიადაგის ვიბრაციას და ზიანს აყენებს მის საცხოვრებელ სახლს, გზის მეორე მხარეს, სახლის მოპირდაპირედ არის მაღალი დაქანების ფერდი და ყოველ

გაზაფხულზე ადგილი აქვს დიდი ზომის ლოდებისს ცვენას, რომელიც ეჯახება სახლის კედელს და აყენებს გამოუსწორებელ ზიანს.

სახლის პირველი სართულის კედლებიდან ჟონავს წვიმისა და თოვლის დნობის შედეგადწარმოქმნილი წყლები და გზის მხარეზე სახლის კედლები დაშლის პირასაა. აღნიშნული სახლი სიძველის გამო ამორტიზებულია,წყალი ჩამოდის სახურავიდან, სახლს არა აქვს სარტყელი და კედლებს გაჩენილი აქვს ბზარები, რომლებიც ყოველ წელს მატულობს.

განცხადებაში მოყვანილი ფაქტები კომისიურად - შემადგენლობით : საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანის მიერ გადამოწმებული იქნა ადგილზე მისვლით.

აღმოჩნდა, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება, ჩვენს მიერ გადაღებული იქნა ფოტოები.საცხოვრებელი სახლი არის ძალიან ავარიულ მდგომარეობაში. აღნიშნული ოჯახი ამ ეტაპზე იმსახურებს ყურადღებას, თუნდაც გადაყვანას საცხოვრებლად უსაფრთხო ადგილზე.

კომისიამ გადაწყვიტა: დენოლა გაზდელიანის პრობლემის მოგვარების მიზნით შუამდგომლობის წერილი თანდართული მასალით გაგზავნილი იქნა დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სამინისტროში.

2. მოისმინეს: კომისიის წევრმა მევლუდ ლიპარტელიანმა კომისიის წევრებს გააცნო საკითხი: „ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20-თებერვლის N-03 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული სამართლებრივი შენიშვნების გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20-ე მუხლის მე-4-ე პუნქტის შესაბამისად

მუხლი 1. უნდა შევიდეს ცვლილება „ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20-თებერვლის N-03 დადგენილებით დამტკიცებულ წესში შემდეგი სახით:

1.დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2-ე მუხლის „გ"-ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას;

2. წესის მე-5-ე მუხლის მე-4-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4.აკრძალულია მალფუჭებადი საკვები პროდუქტებით (ხორცი, ხორცის პროდუქტები, რძე, რძის პროდუქტები, თევზი, შეუფუთავი საკონდიტრო ნაწარმი, პური, სუნელები და სანელებლები)"

გადაწყვიტეს: საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

კომისიის სხდომა დასრულდა 13 საათსა და 30 წუთზე.

კომისიის თავმჯდომარე: /ს. ავალიანი/